



Animal World

Electronic newspaper of
Georgian Society for the Protection and Safety of Animals

ენიმეჯ ვორლდ

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ ელექტრონული გაზეთი

გამოცემა №01 X - XII თვე 2008 წელი

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მისიის განხორციელების მხარდაჭერას უზრუნველყოფს ვეტერინარული კომპანია ZooPlaza.

Animal World

გაზეთი შედგენა და გაავრცელა „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“-მ.

WWW.GSPSA.ORG.GE



www.zooplaza.ge

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მიმართვა

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ უწოდებს ცხოველების მოვლას უზრუნველყოფს ვეტერინარული კომპანია ZooPlaza.

პროექტის მიზანშეწონიერება და გადარჩენის საზოგადოებას, ცხოველთა მოვლას უზრუნველყოფს ვეტერინარული კომპანია ZooPlaza.

ინფორმაციები, სტატიები:

- ❖ დაფუძნდა საქართველოს ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია 1-ლი გვ
- ❖ მ.პ.ს. „ლეიბი“-ს ცელი ლეიბი 2-ე გვ
- ❖ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA 3-ე გვ
- ❖ GSPSA-ს ცხოველთა თავმჯდომარე 4-ე გვ
- ❖ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მისია 5-ე გვ
- ❖ ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია 6-ე გვ
- ❖ ღია წერილი გაზეთ „ალია“-ს რედაქციას 7-8-ე გვ
- ❖ ცხოველების სიცოცხლეს ნაგავზე მეტი ფასი არ აქვს, მოდიტ გააუმჯობესოთ საქართველო - ავტორი ანეკლია ჯაგაროზია ბროუჩ 9-ე გვ
- ❖ ჯესიას ნამბობი - ნამდვილი ისტორია 10-ე გვ
- ❖ სტერილიზაციის პროგრამა საქართველოში 11-ე გვ
- ❖ ცხოველთა ბუდი საქართველოში - ავტ. მარინა ივანიშვილი 12-ე გვ



2008 წლის 28 ივნისს ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ ქ. თბილისის რეგიონი - ნუცუბიძის პლატო გამოცხადდა ცხოველთა მიმართ ძალადობრივი და სასტიკი ქმედებისგან თავისუფალ რეგიონად.

დაფუძნდა საქართველოს ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია

2008 წლის 25 ივნისს ცხოველთა უფლებების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს ერთობლივი მემორანდუმი და დააფუძნეს საქართველოს ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია. კოალიციის მიზანია ცხოველთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონთა პროექტების მომზადება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. კოალიციაში გაერთიანებული არიან შემდეგი საზოგადოებები: „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“, „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“ და საქველმოქმედო ფონდი „არგუსი“.

კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები თანამშრომლობენ ქ. თბილისის მერიასთან. დღევანდელ დღეს ქ. თბილისში და საქართველოს მთელ რიგ სხვა ქალაქებში კანონის არ არსებობის და მუნიციპალური სამსახურების არასწორი პოლიტიკის გამო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა უზედამხედველო ცხოველებთან მიმართებაში. სიტუაცია კი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, ვინაიდან არსებული პრობლემის მიმართ არაპროფესიონალური დამოკიდებულების გამო, კატასტროფულად მატულობს უზედამხედველო ცხოველთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ ეკონომიკისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

კოალიციაში შემავალ ორგანიზაციათა მიზანია: კანონთა შექმნა-მოწესრიგება; ცხოველთა პოპულაციის რეგულირება საერთაშორისოდ აღიარებული ჰუმანური მეთოდების გამოყენებით; ცხოველთა თავმჯდომარეების და ვეტერინარული ცენტრების მოწყობა და სხვა.



Animal World

გამოცემა №01 X - XII თვე 2008 წელი

877 41 90 20, ელ.ფოსტა: info@gspsa.org.ge

ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა ქ. თბილისის მერის მოადგილესთან.

ქ.თბილისის მერის მოადგილე ნიკო ხაჩირაშვილი 2008 წლის 11 და 18 ივნისს შეხვედა ცხოველთა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, სპეციალისტებს და ექსპერტებს ქ. თბილისში უხედაზნოდ ცხოველებზე კონტროლის, პოპულაციის რეგულირების და სხვა პრობლემების მოგვარების მიზნით. ქალაქის მერის მოადგილესთან კონსულტაციების შემდეგ დაისახა გეგმა კანონების (დადგენილებების) შემუშავებისა და ცხოველთა თავშესაფრების მოწყობასთან დაკავშირებით.

GSPSA-ს ინფორმაცია



ბატონებო და ქალბატონებო! გახდით „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ წევრი!

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA არის არაკომერციული რეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია)-არასამთავრობო ორგანიზაცია.

გახდით GSPSA-ს წევრი და ამით თქვენ დაიწვეთ ცხოველთა უფლებებს. ერთად ვიზრუნოთ მთელი სამყაროს ფლორა-ფაუნის გადარჩენად! ერთად ვიზრუნოთ მათ მიმართ სასტიკი ქმედებების აღსაკვეთად!

ღელაღური ინფორმაცია საზოგადოებაში გასაშუქრანებლად იხილეთ ბოლო გვერდზე

შპს. „ღებიუტი“-ს ცული ღებიუტი

2008 წლის 1 ივნისს საზოგადოებრივ არხზე პროგრამა „7 ღლე“ გადაცემული იქნა სიუჟეტი, რომელიც ენებოდა ქ. თბილისში 1-ლი ვეტერინარული სამსახურის (იგივე შპს. „ღებიუტი“) არაჯანონიერ ქმედებებს.

2008 წლის 18 ივლისს „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერი 9სთ“-ზე გავიდა სიუჟეტი თბილისში მაწანწალა ცხოველების შესახებ. აღინიშნა, რომ თბილისში 100 000-ზე მეტი უხედაზნოდ ცხოველია. ტელეჟურნალისტმა გადმოსცა ინფორმაცია, რომ 1-ლი ვეტერინარული კლინიკის საქმე გადაცემულია მერიის გენერალურ ინსპექციაში და ფინანსურ პოლიციაში.

GSPSA-ს იმედი აქვს, რომ ამჯერად სახელმწიფო ორგანოები ობიექტურად შეაფასებენ არსებულ სიტუაციას.



მე მშობი... მე მწყურია... მე მიირტყამენ... მე ქვას მესვრიან... მე სახლი არ მაქვს... მე მღევიან... მე მცივა... მე მტკივა... მე მკლავებ ...

დაფიქრდით! მათაც არსებობა და სიბო უნდათ!



ამ ძაღლს მფარველობდა უცხოეთის მოქალაქე. ცნობისათვის, თბილისში მარტო 2006-2007 წ.წ. 18 000 ძაღლი განადგურდა არაცივილიზებული მეთოდით...

2006 წლის 11 ნოემბერს „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ წევრების მიერ ნუცუბიდის მე-3 მ/რ.-ში არსებულ გამწვანების ზოლში აღმოჩენილ იქნა უსახლკარო ძაღლი. ამ ახალდაყრილ ლეკვებთან ერთად, საზოგადოების წევრებმა ლეკვები გადაიყვანეს საზოგადოების თავშესაფარში და ორიოდე თვის შემდეგ გააჩუქეს ცხოველების მოყვარულ, გულისხმიერ ადამიანებზე. ამჟამად ისინი უკვე 2,5 წლის ძაღლები არიან, აქვთ სახლი, ჰყავთ პატრონი და თავს კარგად გრძობენ. GSPSA-მ 2 წლის მანძილზე 200-ზე მეტ ძაღლს გაუწია მფარველობა.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA

არაკომერციული რეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია) „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA დაფუძნდა 2006 წლის 18 ივლისს. საზოგადოების შექმნისა და დაფუძნების იდეა მის იურიდიულ აღიარებამდე რამოდენიმე წლით ადრე არსებობდა. მთავარი მიზნები კავშირის შექმნის მდგომარეობს საქართველოში და კავკასიის რეგიონში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და დაცვის მექანიზმის პრობლემის მოგვარებაში, ადამიანსა და ცხოველთა სამყაროს შორის ჰარმონიული ურთიერთობის საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების შესწავლისა და ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში მის ასახვაში. კავშირის იურიდიულ რეგისტრაციამდე სამი წლით ადრე კავშირის ამჟამინდელი წევრების ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა უსასლკარო ძაღლებისა და ლეკვების თავშესაფარი, რომელშიც რამოდენიმე ასეულმა ლეკვმა დაიღო ბინა და შემდგომში ჩაბარდა ცხოველების მოყვარულ ადამიანებს. ძაღლებისა და ლეკვების თავშესაფარი ღღესაც არსებობს.

კავშირის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დედაქალაქში და საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობისა და მათი პერმანენტული განადგურების ფაქტების გამოამჟღავნებას. საზოგადოება გმობს მუნიციპალური სამსახურების ზიგიერთი მუშაყისა და მათთან დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური ბირების არაჰუმანურ ქმედებებს ცხოველების მიმართ და იბრძვის ცივილიზებული მეთოდების გამოყენებით უზედამხედველო ცხოველთა რიცხოვნების შესამცირებლად. ამ მიზნით საზოგადოება ამზადებს სპეციალისტებს და დანმარებისათვის მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებს. უზედამხედველო ცხოველების რიცხოვნების შესამცირებლად საზოგადოება დასამუშავებლად მიიჩნევს მხოლოდ სტერილიზაციის მეთოდს, რომელიც იძლევა საყმად ეფექტურ შედეგს და მიღებულია ცივილიზებული ქვეყნებისათვის.

GSPSA – ს მაინა, რომ საქართველოში აღნიშნულ სფეროში დასახვეწია კანონმდებლობა. რიგ შემთხვევებში არც არსებობს გარკვეული კანონები. საქართველო არ არის მიერთებული ცხოველთა დაცვის სფეროში საერთაშორისო კონვენციებს. ამ მხრივ GSPSA მზად არის ითანამშრომლოს მთავრობასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შექმნასა და დამუშავებაში.



საზოგადოების წევრები



საზოგადოების გამგეობის წევრი - ანჟელიკა კატარზინა ბროუჩ

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ წევრთა სია:

ბესიკ კოჭლამაზაშვილი (GEO), ანჟელიკა კატარზინა ბროუჩ (POL), თინათინ თოდრაძე (GEO), ირაკლი დუნდუა (GEO), დავით შალამბერიძე (GEO), დევის ბროუჩ (USA), ლარისა დანინა (GEO), ზური შაქარიშვილი (GEO), თეიმურაზ წიქორიძე (GEO), ირმა ბურღლიაძე (GEO), ირაკლი ჩხუბიანიშვილი (GEO), მარინა ივანიშვილი (GEO), ვიორჯი ბენივეი (GEO), ნათია თავართქილაძე (GEO), ნინო თავათაქიშვილი (GEO), თეა ღვანიძე (GEO), ხაჩიკ სრაბიანი (GEO), მზია კრავეიშვილი (GEO), ელენე მაროტი (GEO), ნელი გომარელი (GEO), მანუჩარ გოგიშვილი (GEO), მიხეილ ლობჯანიძე (GEO), ვახტანგ მამალაძე (GEO), თამთა თვარაძე (GEO), ჯულიეტა ნარუსლიშვილი (GEO), სანდრო კანთელაძე (GEO).

გახლი GSPSA-ს წევრი, გაზარდე წევრების სია:



ლუკუები მიდიან ახალ მფლობელთან.

მხარში ამოუდექით „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“-ს და თქვენ ამით დაიწყავთ ცხოველთა უფლებებს!

GSPSA-ს ცხოველთა თავშესაფარი

ძაღვების თავშესაფარი, რომელიც დღესდღეობით **GSPSA** - ს სტრუქტურაშია, ორგანიზაციის დაარსებამდე რამოდენიმე წლით ადრე არსებობდა. თავშესაფარში ძირითადად ქუჩიდან ხვდებიან ძაღვები, რომლებიც უმწეო მდგომარეობაში არიან და მფარველობას ითხოვენ. თავშესაფარს სულ რამოდენიმე პიროვნება ინახავს, არიან სხვა კეთილი ადამიანებიც, რომელიც თავშესაფარის ბინადრებს ეხმარებიან საყვებით, ძველი ტანსაცმლით და სხვა აუცილებელი ატრიბუტიკით.

თავშესაფარში მოხვედრილი ძაღვები გადიან ვეტერინარულ შემოწმებებს და ელოდებიან ადამიანებს, რომლებიც შემდგომში მათი პატრონები გახდებიან. მაგრამ აქ არიან ძაღვებიც, რომლებიც ვერ გაჩუქდნენ და ისინი თავშესაფარის მუდმივი ბინადარნი არიან. **GSPSA** - ს თავშესაფარში არ ხდება ძაღვების „დაძინება“, თუ ვერ გაჩუქდნენ, მათი ბედი მუდმივად დაკავშირებულია აქ ცხოვრებას.

ძაღვების თავშესაფარის ისტორიის მანძილზე აქედან უკვე 200-ზე მეტი ძაღლია გაჩუქებული, ბევრი მათგანი უცხოელების მიერ არის წაყვანილი საზღვარგარეთ. ყველაზე მეტი ყურადღება თავშესაფარის ბინადართ სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაგან აქვთ, ისინი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე სტუმრობენ თავშესაფარს და დახმარების ხელს გვიწვდიან ჩვენი ოთხფეხა მეგობრების მოსაველეად და გამოსაყვებად.

განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა არვიწინოთ პოლიციის ქალბატონის, საზოგადოების გამგეობის წევრის, ქ-ნი ანჟელიკა კატარზინა ბროუჩის მოღვაწეობა. სწორედ მისი და მისი მეუღლის დევიდ ბროუჩის დამსახურებაა, რომ ძაღვების თავშესაფარმა დღევანდელ დღემდე გასძლო. ანჯელიკას თავდადებული შრომით და გულისხმიერი დამოკიდებულებით რამოდენიმე ათეული ძაღლი იქნა გადარჩენილი და მფარველობის ქვეშ მიღებული.

ამჟამად თავშესაფარში შეზღუდულია ძაღვების მიღება. დახმარებას საჭიროებს თავშესაფარი. არ არის გათბობა, წყალი. მოსაწყობია ძაღვების საწლები. თავშესაფარს ესაჭიროება გულისხმიერი, მოსიყვარულე ადამიანები, რომლებიც პერიოდულად მიაკითხავენ თავშესაფარის ბინადართ.

ცხოვრობს თავშესაფარი თავისი ცხოვრებით. ყოველ დღე ელოდებიან ძაღვები ვინმე ახალი პიროვნების გამოჩენას. უნარიათ, რომ მოუალერესებ, მოეფერები. გამოვიჩინოთ კეთილი ნება და მივეხმაროთ თავშესაფარის ბინადართ!



ვაჟილოები



ლოვა



„პაროლმხრეები“



მანუასრი და ძაღვები



პუპრის



ანიას



ლანკობროს



ლონანი



ფოტოები გადაღებულია GSPSA-ს წევრების მიერ.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მისია

- საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობებში მაქსიმალური შესაძლებელი ღონისძიებები წინასწარობის ჩამოყალიბება, ამ ურთიერთობათა ჰუმანიზაცია, თანაცხოვრების პირობების, ფაქტორებისა და შედეგების შესწავლა- ანალიზი. ცხოველთა სამყაროში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა;
- საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ადამიანის მიერ ცხოველის დაცვისა და გადარჩენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. ჰუმანიტარული, ეკოლოგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, სანიტარული, პიენური ფაქტორებისა და ზემოქმედების შესწავლა-ანალიზი;
- ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს შორის პარამონიული ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილებების შესწავლა-პოპულარიზაცია. შესაბამისი ლიგნატორის, ფილმების, და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მოწოდებული მასალების თარგმნა, გამოცემა და გავრცელება. უპარალელურად აღნიშნულ სფეროში საქართველოსა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებისა და კონკრეტული მოვლენების აღწერა, დეტალური ანალიზი და მონაცემთა ბაზის შექმნა. სემინარების, კონფერენციების, და სხვა საჯარო ღონისძიებათა ორგანიზება. ფილმების, სატელევიზიო პუბლიცისტური გადაცემების და სხვადასხვა ორგანიზაციის გადაცემების შექმნა-გავრცელება;
- არსებულ პრობლემათა სრულყოფილი შესწავლა, მათი მოგვარების მეცნიერულ გზათა დასახვა და გადაწყვეტა. შესაბამის რეკომენდაციათა შემუშავება იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აღნიშნული პრობლემებიდან არიან დაინტერესებულნი;
- საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება იმ პროცესებზე, რომლებიც შინაური და გარეული ცხოველების და საზოგადოების ერთიანი სოციალური გარემოს ფორმირებისკენაა მიმართული და სოციუმის ჰუმანიზაციას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით საგანმანათლებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება და საგანმანათლებლო-სააგეიკაციო საქმიანობის გაშლა; სახელისუფლებო და სამთავრობო ორგანიზაციებიდან საჯარო ინფორმაციების მოძიება. მათ საქმიანობაზე აღნიშნულ სფეროში მონიტორინგის განხორციელება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში;
- საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კავშირის (ასოციაციის) ანალოგიური პროფილით მოქმედ ორგანიზაციებთან კავშირ-ურთიერთობათა დამყარება, ერთობლივ ღონისძიებათა გამართვა, საინფორმაციო, ანალიტიკური რეკლამური და არარეკლამური ბეჭდვითი გამოცემებისა და სატელევიზიო გადაცემების ორგანიზირება; კავშირი (ასოციაცია) თავისი მიზნების მისაღწევად წარმართული საქმიანობისას თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ცხოველთა დაცვისა და გადარჩენისათვის შესაბამისი მალაკალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება დაღვნილი წესით;
- ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დასახლებული პუნქტებსა და სამრეწველო ობიექტებში შექმნილი ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრამი აღმინისტრაციებისა და აღმინისტრირების ხელშეწყობა და თანადგომა;
- პროგრესული საერთაშორისო გამოცდილების ათვისება ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის სფეროს მართვის ტექნოლოგიაში. ახალი ინოვაციების შემუშავება და დანერგვა; ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის უზრუნველყოფა გარემოს სტიქიური უბედურებების, ტექნოგენური ვარირების, კატასტროფების, საომარი კონფლიქტების ნეგატიური შედეგების პროცესების დროს და შემდგომ პერიოდში; ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის უზრუნველყოფის მიზნით წყალსაცავებისა და სხვა სანიტარული ზონების, აგრეთვე ქალაქების, რაიონების, რეგიონების, და სხვა დასახლებული პუნქტების ეკოლოგიური მონიტორინგი და საზოგადოებრივი კონტროლი; შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა და მათში გაწევრიანება. საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;
- ცხოველთა დაცვისა, გადარჩენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება. შესაბამისი ეკონომიკური, ფინანსური და დაგეგმარების საკითხების რაციონალური გადაწყვეტა;
- უპატრონო, მწიწწა, დავრდომილი ძაღლების, კატების და სხვა შინაური ცხოველების მიმართ ყოველგვარი ძალადობრივი ქმედების (წამება, დასახიჩრება, ფიზიკური განადგურება) წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა კანონიერების ფარგლებში;
- კავშირი (ასოციაცია) ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის მიზნით კანონიერების ფარგლებში განხორციელებს ბრძოლას ყველა იმ ფიზიკური პირისა ან სახელმწიფო მონეტის მიმართ, რომელიც ჩაიდენს (ან ვაცემს ბრძანებას) ცხოველის მიმართ არაჰუმანურ, დესპოტურ ქმედებას (წამება, დასახიჩრება, ცხოველთა ჩხუბები, ფიზიკური განადგურება და ა. შ.). ამ მიზნით კავშირი (ასოციაცია) თანამშრომლობს სამართალდამცავ სტრუქტურებთან;
- დასახლებულ პუნქტებში უპატრონო, მწიწწა, დავრდომილი ძაღლების, კატების და სხვა შინაური ცხოველებისთვის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული თავშესაფრების მოწყობა-ფუნქციონირება და შესაბამისი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალით დაკომპლექტება მომავალში ცხოველთა მოვლა-პატრონობის, მათი შესაძლო გადარჩენისა და რეაბილიტაციის მიზნით;
- ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის უზრუნველყოფის მიზნით ცხოველთა სამარხების, მრეწველობის (მეტალურგიური, ქიმიური და სხვა სახის წარმოებები) ქიმიური და ბიოლოგიური ნარჩენების ეკოლოგიური მონიტორინგი;
- ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის სფეროში მიმდინარე პროცესების მხარდამჭერი ფონდების შექმნა კანონით დაღვნილი წესით;
- ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის უზრუნველყოფის მიზნით ბიოლოგიური, ქიმიური, და სხვა აგრეტივებული ლაბორატორიების, სამოქალაქო საზოგადოებრივი მონიტორინგი;
- ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის სფეროში ახალი ინოვაციების დანერგვისას შესაბამისი საკანონმდებლო ინციატივისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოსა და საზღვარგარეთიდან ცხოველთა დაცვის ხელშეწყობის მიზნით შემოწირულობების მოზიდვა და ფართო საზოგადოებრიობის საქველმოქმედო საქმიანობაში ჩაბმა; ცხოველთა დაცვის სფეროში მომუშავე მსოფლიოს შესაბამის ვეტერინარიულ, ფარმაცოლოგიურ ფორმებთან და ცენტრებთან თანამშრომლობა, მელიტარების, ვეტ-ინჟინერების, ვეტერინარული სადიანოსტიკო საშუალებების და სხვა ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო, ვეტ-პიენური და მოვლის საგნების, საკვები საშუალებების შექმნა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები;
- შესაბამისი სტრუქტურების მიერ ცხოველთა ვაქცინაციის ჩატარებაში ხელშეწყობა და მათზე საზოგადოებრივი კონტროლი;



გამთუცხადით „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“-ს მხარდაჭერა და დაუხმადით ამ თქნიდ კეთილმდმილუქტი მისიის აღსრუქტში!





ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია

UNIVERSAL DECLARATION OF ANIMAL RIGHTS

მიღებულია ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის მიერ 1977 წლის 23 სექტემბერს ქლონდონში. გამოცხადებულია 1978 წლის 15 ოქტომბერს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის (UNESCO) შტაბში საერთაშორისო ლიგის მიერ. 1990 წელს დეკლარაცია წარედგინა იუნესკოს გენერალურ დირექტორს და იმავე 1990 წელს მოხდა მისი მსოფლიო აღიარება.

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა :

- თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სიცოცხლე ერთია, რომ ყველა ცოცხალი არსება ერთი წარმოშობისაა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ სახეობათა ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა.
 - თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ყველა ცოცხალ არსებას აქვს მინიჭებული ბუნებრივი უფლებები და რომ ნერვული სისტემის მქონე ნებისმიერ ცხოველს გააჩნია გარკვეული უფლებები.
 - თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა ამ ბუნებრივი უფლებების უფლებებელყოფა, აბუჩად ავლება, ან უბრალოდ მათი არცოდნა სეროზულ ზიანს აყენებს დედა-ბუნებას და ადამიანებს ცხოველების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებებისაყენ უბიძგებს.
 - თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის არსებობა უკვე გულისხმობს ადამიანის სახეობის მხრიდან სხვა სახეობის ცხოველთა სიცოცხლის უფლების ცნობას.
- თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ადამიანის მიერ ცხოველთა ჰუმანური პატივისცემა განუყოფელია ადამიანის მიერ ადამიანის ღირსების პატივისცემისაგან.

მამინ აღიარებული იქნება:

მუხლი 1 ყოველ ცხოველს აქვს თანაბარი უფლება იარსებოს ბიოლოგიური წინასწარობის პირობებში;

მუხლი 2 ყოველ ცხოველს აქვს უფლება მოეპყრას პატივისცემით;

მუხლი 3

3.1 არცერთ ცხოველს არ უნდა ეპყრობოდნენ ცუდად, მითუმეტეს სასტიკად;

3.2 თუ აუცილებელია ცხოველის მოკვლა, ეს უნდა მოხდეს მყისიერად, ტკივილის და ტანჯვის მიყენების გარეშე;

3.3 მკვლარ ცხოველს არ უნდა მოეპყრათ უკადრისად;

მუხლი 4

4.1 გარეულ ცხოველებს აქვთ საკუთარ ბუნებრივ გარემოში თავისუფლად ცხოვრების და გამრავლების უფლება;

4.2 გარეული ცხოველებისათვის თავისუფლების ხანგრძლივად წართმევა, ნადირობა და თევზაობა გართობა-დროსტარების მიზნით, აგრეთვე ცხოველების ნებისმიერი გამოყენება არასაციცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნით, არღვევს გარეულ ცხოველთა ძირითად უფლებებს;

მუხლი 5

5.1 ადამიანზე დამოკიდებული ნებისმიერი ცხოველის უფლებაა მიიღოს შესაფერისი მოვლა და ზრუნვა;

5.2 დაუშვებელია ცხოველის უმიზეზოდ, გაუმართლებლად მიტოვება ან მოკვლა;

5.3 ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისათვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს;

5.4 გამოფენები, დემონსტრაციები, აგრეთვე ფილმები ცხოველთა მონაწილეობით არ უნდა ლახავდნენ მათ ღირსებას და არ უნდა შეიცავდნენ ძალადობის ელემენტებს;

მუხლი 6

6.1 ცხოველებზე ისეთი ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევენ მათ ფიზიკურ, ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას, არღვევენ ცხოველთა უფლებებს;

6.2 სისტემატურად უნდა ვითარდებოდეს და ხორციელდებოდეს ცხოველთა სულადობის აღდგენის მეთოდები;

მუხლი 7

ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ცხოველის გაუმართლებელ სიკვდილს, წარმოადგენს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს;

მუხლი 8

8.1 ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, მიმართული გარეული ცხოველის სახეობის განადგურებისაყენ, გენოციდის ექვივალენტურია, ანუ არის დანაშაული მიმართული სახეობის წინააღმდეგ;

8.2 გარეული ცხოველების დაზოცვა, ბიოსფეროს დაბინძურება და დაზიანება გენოციდური ქმედებებია;

მუხლი 9

9.1 ცხოველთა გარკვეული იურიდიული სტატუსი და უფლებები უნდა განისაზღვროს სახელმწიფო კანონმდებლობით;

9.2 ცხოველთა დაცვა და უსაფრთხოება გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანიზაციების ღონეზე;

მუხლი 10

საგანმანათლებლო სახელმწიფო ორგანოები ადრეული ასაკიდან უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა მიერ ცხოველებზე დაკვირვების, მათი გაგების და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

გაზეთ „ალია“-ს #77/2202/2008 წლის 28-30 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილის სტატია სათაურით „საბავშვო ბაღთან ახლოს ცოფის გავრცელების ახალი რეზერვუარი აღმოაჩინეს?!“. სტატიაში არის ღებნიფორმაცია და მიმართულია მოსახლეობის გასაღიზიანებლად და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ.

ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნული სტატიის გამო ღია წერილით უპასუხეს გაზეთ „ალია“-ს რედაქციას და მოსთხოვეს ამავე გაზეთში მათ მიერ მიწოდებული ღია წერილის გამოქვეყნება. მაგრამ გაზეთის რედაქციამ სირაქვლემს ტყვევს მიმართა და აღბათ არ აპირებს წერილის გამოქვეყნებას. ჩვენ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები, ღიდად არ განვიცდით აღნიშნულს. ვინაიდან ამ სკანდალურ გაზეთის საქართველოში მინიცლამინც „არ ანებრივებს“ მკითხველი, ხოლო აღნიშნულ ღია წერილის გავრცელებზე ჩვენი ელექტრონული გაზეთის სმუალეობი ...

ღია წერილი გაზეთ „ალია“-ს რედაქციას

გაზეთ „ალია“-ს #77/2202/2008 წლის 28-30 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილის სტატია სათაურით „საბავშვო ბაღთან ახლოს ცოფის გავრცელების ახალი რეზერვუარი აღმოაჩინეს?!“. მიგვანია, რომ ჟურნალისტს თავისი რესპონდენტების მიერ მიწოდებულ არაზუსტ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეცდომამში შეჰყავს მკითხველი.

დავიწყებთ სტატიის ბოლო ციტატი: „ალია“ შეეცდება დააზუსტოს, რომელ ცხოველთა დამცველ ორგანიზაციაზე საუბარი და მათ პოზიციასაც შემოგთავაზებთ. მით უმეტეს, რომ კითხვები მრავლად დაგვიგროვდა. საკითხავია, ჟურნალისტს რა აინტერესებს, რომელი ცხოველების დაცვითა ვართ დაკავებული, თუ თავად მას ცხოველების დამცველი რომელი ორგანიზაციები ჰყავს დასაზუსტებელი და მოსაძებნი. ისიც საინტერესოა, რა კითხვები დაუგროვდათ „მრავლად“ ამ ორგანიზაციებთან და ვის?!

ცხოველთა დაცვის ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები: „ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ფონდი ა რ გ უ ს ი“, „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“, საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ უკმაყოფილებას გამოვთქვამთ გაზეთ „ალია“-ს დასახელებული სტატიის გამო, რომელიც მკაფიო ნიშნით არაკომპეტენტობის, მასში ბევრია დაზუსტებელი, გადაუმოწმებელი და ყალბი ინფორმაცია, რომელიც ჟურნალისტის მიერ არ არის გადამოწმებული ჰუმანიტარულ მნიშვნელობასთან მიმართებაში, რითაც რედაქციამ დაარღვია ძირითადი მცენებების კანონებისა: „საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა სმუალეობების შესახებ“ III თავი - „მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის სმუალეობათა და ჟურნალისტთა უფლება მოვალეობანი“.

ცხოველთა დაცვის აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვანია, რომ დასახელებული სტატია დაწერილია იმ სულისკვეთებით, რომელიც გულისხმობს სიტუაციის ნელოვნურად დაძაბვას „მოსალოდნელი სმუიში ებიდეებით და მიზნად ისახავს ნეგატიური საზოგადოებრივი განწყობის შექმნას საერთოდ ცხოველთა, აგრეთვე მათი დამცველი ორგანიზაციების მიმართ.

გაზეთის პირველივე გვერდზე ცნობილი ჟურნალისტური სენსაციით (თბილისის ებიდეშია ემუქრება) „მე ფონზე დაწერილია სათაური: „საბავშვო ბაღთან ახლოს ცოფის გავრცელების ახალი რეზერვუარი აღმოაჩინეს?!“, რომელსაც თან ახლავს გაძვალტყავებული ძაღლის გვამის გაურკვეველი ვიზი მოპოვებული ფოტოსურათი. აღნიშნული ფოტო შემდგომ სტატიაშიან ერთად მეორდება მე-11 გვერდზე, რედაქციის მხრიდან ყოველგვარი მინაწერისა და განმარტების გარეშე, რაც საფუძვლიან ეჭვს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სტატია დაკვეთილია და თავიდანვე მიმართულია მოსახლეობის გასაღიზიანებლად (რამიც სტატიის შემდგომი სულისკვეთება კიდევ უფრო გვარწმუნებს) და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ.

ჩვენ, ცხოველთა დაცვის დასახელებული არასამთავრობო ორგანიზაციები პროტესტს გამოვთქვამთ გაზეთ „ალია“-ს რედაქციის მისამართით, არ ვაპირებთ რესპონდენტების ღებნიფორმაციაზე პასუხების გაცემას, მაგრამ მოვითხოვთ გაზეთის რედაქციისაგან პასუხის გაცემას შემდეგ შეკითხვებზე:

1. ვისგან მიიღო დავლება გაზეთ „ალია“-ს ჟურნალისტმა თამარ როსტიაშვილმა აღნიშნული სტატიის მომზადებისათვის?
2. რა ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიწერა სტატიის სათაური: „საბავშვო ბაღთან ახლოს ცოფის გავრცელების ახალი რეზერვუარი აღმოაჩინეს?!“? ვინმემ ნახა აღნიშნულ საბავშვო ბაღთან შესაბამის პერიოდში სტატიაში ნახსენები ძაღლი, ან მკვდარი ან ცოცხალი, რომელიც ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ცოფის ნიშნებით მოკვდა?
3. გადაამოწმა თუ, არა ჟურნალისტმა რესპონდენტების ინფორმაციები ძაღლების ცოფით სიკვდილიანობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის საინფორმაციო ბაზაში?
4. შეეცადა თუ, არა „ალია“ დაზუსტებინა ცხოველთა დამცველ რომელ ორგანიზაციებზე არის მის სტატიაში საუბარი და თუ დაინტერესდა სად, ან ვისთან უნდა დაზუსტებინა აღნიშნული?
5. რაკომ დაუმუშა „ალია“-მ აღნიშნული ფრიალ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ ასეთი ღებნიფორმაციული, არაკვალიფიციური და შინაარსობრივად გაუმართავი სტატიის გამოქვეყნება?
6. გაეცნო თუ, არა „ალია“ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მკენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სტატისტიკის საქართველოში ბოლო წლების (2000-2008 წწ.) განმავლობაში ცოფის დაავადების დინამიკის შესახებ?
7. მოიპოვა თუ, არა ჟურნალისტმა სახელმწიფო (მუნიციპალური) ორგანოებიდან ინფორმაცია ცოფზე საეჭვო ცხოველების მოსათავსებელი საკარანტინო ვოლიერების არსებობისა და მათზე აუცილებელი ვეტერინარული დავკირვების შესაძლებლობების შესახებ?



ეს ფოტოები გადაღებულია 2007 წლის 24 აპრილს ქ. თბილისში GSPSA-ს წევრების მიერ. მათ მიერვე გამოძახებული იქნა პოლიცია, რომელმაც ძაღლდამცერი ბრიგადის წარმომადგენლებს ადგილზე ჩამოართვა ჩვენება, სადაც მათ განაცხადეს, რომ ძაღლები მიჰყავდათ ე.წ. „ბეიკერის ორმოში“ გასანადგურებლად. საბოლოოდ გამოძიებამ კი დაადგინა, რომ თურმე ძაღლები გადაჰყავდათ თავშესაფარში?! პარადოქსული ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეალურად თავშესაფარი არ არსებობს. ამ ძველი მანქანებით ძაღლდამცერი ბრიგადები ღღესაც განაგრძობენ „საქმიანობას“ და არაკანონიერ ქმედებებს საქართველოს სხვა ქალაქებში.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ღია წერილი გავით „ა ლ ი ა“ - ს რედაქციას

(გაგრძელება) ეს კითხვები აუცილებლად თვითონ უნდა გასჩენოდა პროფესიონალ ჟურნალისტს სტატიანე მუშაობისას და ყველა ღონე უნდა ეხმარა ამ საჭირო ინფორმაციების მოსაპოვებლად. ჟურნალისტმა არ იხელომდებანელა საქართველოს კანონის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“-ის 21-ე მუხლით, სადაც განსაზღვრულია ჟურნალისტის უფლებები. დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ „ალია“-ს კითხვები „ძრავლად აღარ დაუგროვებდნენ“ და რესპონდენტებიც უდავოდ სხვა პირები იქნებოდნენ, რომლებიც ობიექტურ და კომპეტენტურ ინფორმაციას მიაწვდიდნენ მკითხველს.

ჩვენი, ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანია: ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობათა ჰუმანიზაცია, ცხოველთა სამყაროში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა, ადამიანის მიერ ცხოველის დაცვისა და გადარჩენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ჰუმანიტარული, ეკოლოგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, სანიტარული, ჰიგიენური ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა-ანალიზი. ადამიანსა და ცხოველთა სამყაროს შორის ჰარმონიული ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების პოპულარიზაცია, არსებულ პრობლემათა სრულყოფილი შესწავლა, მათი მოგვარების მეცნიერულ გზათა დასახვა და გადაწყვეტა, საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება იმ პროცესებზე, რომლებიც ცხოველების და საზოგადოების ერთიანი ეკოსისტემის შენარჩუნებისკენაა მიმართული და სოციუმის ჰუმანიზაციას ისახავს მიზანდ. უპატრონო, მაწანწალა, დავრდომილი ძაღლების, კატების და სხვა შინაური ცხოველების მიმართ ყოველგვარი ძალადობრივი ქმედებების (წამება, დასახიჩრება, ფიზიკური განადგურება) წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა კანონიერების ფარგლებში, და სხვა.

ამავდროულად, ჩვენ შემოვთავაზებთ საქართველოში (თბილისში) ცოფთან ბრძოლის არაეფექტური, არაკვალიფიცირებული მეთოდების გამოყენების გამო სახელმწიფო სტრუქტურების და მათი კონტრაქტორების მხრიდან, აგრეთვე შეესაბამისი სამსახურების მიერ ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტების არსებობის გამო. აგრეთვე ამ სამსახურების მიერ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული პუნქტების შეუსრულებლობის გამო, რომელიც ცოფის დაავადების პროფილაქტიკურ ღონისძიებებს შეეხება. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას ძაღლის მიერ ადამიანის დაკბენის რაოდენობრივი მაჩვენებელით (2006 წ.), ერთი სახელმწიფო საკარანტინო ვოლოერიც კი არ არსებობს, ვეტერინარულ ზედამხედველობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ნიშანდობლივია, აგრეთვე ის გარემოება, რომ ცხოველის ცოფის ვაქცინა, რომელიც წესით უფასოა, ჩვენთან რატომღაც ფასიანი ხდება, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ვეტერინარული კლინიკა, რაც ბარადოქსალურია. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ მსოფლიოს მამკაბით მხოლოდ საქართველოშია ადამიანისთვის ცოფის ვაქცინაცია ფასიანი, რაც საზოგადოების სოციალურად დაუცველი ნაწილისთვის ძნელად მისაწვდომია.

განთ „ალია“-ს რედაქცია, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ამ პრობლემებზე მუშაობისას, რატომღაც არ დაინტერესდა სწორედ ამ საკითხებით, და თავისი გაზეთის საშუალებით ნებსით, თუ უნაბლიედ, ხელი შეუწყო მცდარი ინფორმაციის გავრცელებას. გასაყვრია ის ფაქტიც, რომ გაზეთის ჟურნალისტი არც კი დაინტერესებულა გასცნობოდა თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდს www.tbilisi.gov.ge, (ახალი ამბები/11 ივნისი), რომლის გაცნობის შედეგად აუცილებლად მიიღებდა ინფორმაციას თბილისში მაწანწალა ძაღლების პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის თანახმად ქობილისის მერის მოადგილე ნიკო ხაჩირაშვილი 2008 წლის 11 ივნისს შეხვდა ცხოველთა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს და შესაბამისი პროფილის სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აღნიშნული ურთულესი პრობლემისმოგვარების მიზნით. ქალაქის მერის მოადგილესთან კონსულტაციების შემდეგ დაისახა გეგმა - კანონების (დადგენილებების) შემუშავებისა და ცხოველთა თავმესაფრების მოწყობასთან დაკავშირებით, რაზედაც ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად მუშაობენ და რომელიც მალე დასრულებული სახით წარედგინება მუნიციპალიტეტსა და მთავრობას დასამტკიცებლად.

ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები მოვუწოდებთ გავით „ალია“-ს რედაქციას ობიექტური პასუხი გაგვცეს დასმულ შეკითხვებზე ისევე თავისი გაზეთის საშუალებით, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ მზად ვართ მრავალ მკვლევარულ შეხვედრასზე და შემდგომ თანამშრომლობაზე.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი წერილის და პოზიციის, რომელსაც „ალია“ დაპირდა გააცნოს მკითხველს, გამოაქვეყნებთ თქვენი გაზეთის საშუალებით და ამით კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამთ ნამდვილი დემოკრატიის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის და ჭეშმარიტების გზაზე.


ამავე დროს, თქვენი გაზეთის საშუალებით მკითხველს გაუწყებთ, რომ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების დღეს, 2008 წლის 28 ივნისს, ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ სტატიამი თბილისის ნახსენები რეგიონი- ნუცუბიძის პლატო გამოცხადდა ცხოველთა მიმართ ჰუმანური დამოკიდებულებისა და მათზე სასტიკი ქმედებისგან თავისუფალ რეგიონად.

ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები:
 საქველმოქმედო ფონდი „არ გ უ ს ი“
 „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“
 „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“



1-ლი ვეტ. კლინიკის თანამშრომელთა სისასტიკე ცხოველების მიმართ.

გადაღებულია პროგრამა „7 დღე“-ს მიერ 2008 წლის 29 მაისს.



ანჟელიკა კაცაროზინა ბროუჩი – პოლონეთის მოქალაქე, „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ გამგეობის წევრი, საზოგადოების ცხოველთა თავმჯდომარის ხელმძღვანელი.

ანჟელიკა 2007 წლის აპრილიდან დაუკავშირდა საზოგადოებას. მას უზომოდ უყვარს ცხოველები და დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ საზოგადოების თავმჯდომარემა დღემდე გაძლო. ანჟელიკა და მისი მეუღლე დევიდ ბროუჩი, რომელიც ასევე საზოგადოების აქტიური წევრია, დიდ დახმარებას უწევენ თავმჯდომარეს. ისინი ოჯახის ბიუჯეტიდან ინახავენ თავმჯდომარის ბინაღირებს. ანჟელიკა თითოეულ ძაღლს ეალერსება და უვლის. ანჟელიკამ და მისმა მეუღლემ თავმჯდომარეიდან აიყვანეს ძაღლი, სახელად როკი, რომელიც დღეს უკვე ა.შ.შ.-შია და თავს კარგად გრძნობს. ანჟელიკას თავდადებით ბევრი კეთილი საქმეა დაწყებული.

ცხოველების სიცოცხლეს ნაგავზე მეტი ფასი არ აქვს. მოდით გავაუმჯობესოთ საქართველო! (ანჟელიკა ბროუჩი)

ევროპაში ძალიან ცდილობენ აღამიანებს და ცხოველებს შორის ჰარმონიული, ფართოდ აღიარებული და გულისხმიერი ურთიერთობის დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია, ეკონომიური და სოციალური პრობლემების გამო, ცხოველების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საკითხი სრულიად უგულვებელყოფილია. შესაბამისი სამინისტროს მაღალ საფეხურზე მყოფი სახელმწიფო ჩინოვნიკის გადმოცემით, კანონის თვალში უსახლკარო ცხოველებსა და ნაგავს შორის ცოტაოდენი განსხვავებაა. ეს არ არის მხოლოდ უსახლკარო ცხოველების პრობლემა, ეს ქართველი ხალხის და მათი შინაური ცხოველების პრობლემაც არის, რადგან ქუჩაში მყოფ უპატრონო ცხოველებს ხალხისთვის დისკომფორტის შექმნა და მათი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება შეუძლიათ.

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება (GSPSA) არის ერთ-ერთი საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს საქართველოს ცხოველებთან მოპყრობის სტანდარტების, საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებასთან შეთანხმებას. GSPSA-ს გააჩნია თავმჯდომარე იმ უსახლკარო ძაღლებისათვის, რომლებსაც მოსახლეობის ნაწილი ცუდად ეპყრობა. ამჟამად, ფართის დევიციტის და ფინანსური სიძნელეების გამო, ცხოველთა თავმჯდომარეს მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით შეუძლია შეიფაროს, გამოკვებოს და გაუწიოს ვეტერინარული, თუ სასწრაფო დახმარება უმწეო ცხოველებს. თავმჯდომარე სთავაზობს მოსიყვარულე ოჯახებს ცხოველების აყვანას. GSPSA ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს სტერილიზაციის მნიშვნელობის პოპულარიზაციას და საერთოდ ცხოველის შესაფერის მოვლას.

მიუხედავად იმისა, რომ GSPSA-ს მიზნები დიდია, ხოლო მათი მიღწევის საშუალებები კი ჯერ ჯერობით შეზღუდულია. თქვენ ძალიან ადვილად შეგიძლიათ მისი დახმარების გაწევა. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეგიძლიათ გულისხმიერი ოჯახი გამოუძებნოთ თავმჯდომარეში მყოფ ერთ-ერთ ძაღლს, რითიც ადვილი გამოთავისუფლდება სხვა უსახლკარო ძაღლისათვის. მაგრამ, თუ ამის გაყვების საშუალება არ გაქვთ, ერთ-ერთი ყველაზე უბრალო დახმარების გზა არის ძაღლებს მოუტანოთ საჭმლის ნარჩენები. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ამ მარაგის დისტრიბუციას ღარიბ ოჯახებში, რომლებსაც უჭირთ თავიანთი ოთხფეხა მეგობრების შენახვა. წვლილის შეტანის კიდევ ერთი ადვილი გზა არის ძველი ტანსაცმლის, ან საბნების მოტანა, რაც დაგვეხმარება ზამთარში ძაღლების თბილად შენახვაში.

თუ გააჩნიათ ცოტა უფრო მეტი დრო და ფინანსები, არსებობს კიდევ სხვა უბრალო დახმარების სახეები. GSPSA იღებს ფულად შემოწირულობებს. მაგრამ თუ შენი ოჯახის კარის, ან საფულის გაღებას ვერ შეძლებ, შეგიძლია შენი გულის კარი გაუღო ცხოველებს, შეგიძლია ყურადღება მიაქციო ერთ, ან ერთზე მეტ ძაღლს, მაგალითად ეთამაშო, მოეფერო ან გაასეირნო ის, რაც შენი და ძაღლის ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს და ძაღლისთვის მოსიყვარულე ოჯახის პოვნის შანსს გაზრდის. ასევე შეგიძლია დახმარება სთხოვო ნაცნობ ვეტერინარს. მას შეუძლია გაანათლოს თავისი კლიენტურა, თავმჯდომარეში არსებულ ძაღლებს შემოწიროს სამედიცინო მედიკამენტები, ან გაუკეთოს სტერილიზაცია უფასოდ. დახმარების კიდევ ერთი საშუალებაა მისწერო მთავრობას და მიმოწერა აკონტროლო და უპატრონო.



ანჟელიკა და როკი



ანჟელიკას მიერ გადაღებული ფოტო



დევის ბროუჩი და ლეკვი

ანჟელიკა ბროუჩი

angelikabroach@gmail.com

ჯესიკას ნაამბობი – ნამდვილი ისტორია

მე „ჯესიკა“ თავშესაფარში შემარქვეს. რატომ მოვხვდი თავშესაფარში? გაინტერესებთ?

თავშესაფარში ბევრი ძაღლია. არ იფიქროთ, რომ აქ კარგია ცხოვრება. ვისაც გამოუყვლია თავისუფლება, ალბათ თავშესაფარი მისთვის გარკვეულ დისკომფორტს წარმოადგენს. მაგრამ გარეთ ლაღად ცხოვრებაც სარისკოა, ვინაიდან ზოგიერთი ადამიანი გვეტრობს.

მე საღ დაგვიბაღე და საღად აღმოვჩნდი მე და ჩემი ძმა ნუტუბიძის პლატოს ერთ-ერთ კორპუსთან ვერ გეტყვი. არ მახსოვს. მაგრამ შეგეჩვიეთ ამ უბანს და კორპუსს. ზოგიერთი კარგი ადამიანი ჩვენზე ზრუნავდა. საკვებს გვაწვდიდა. მე მანაც მეშინოდა ადამიანების და გაფურბოდი მათ. წმირი იყო შემთხვევები. როდესაც ჯესა მესროდნენ და მღებინდნენ. ჩემი ძმა უფრო უშიშარი იყო. მე, რომ მოვკურცხლავდი, ის მცავდა და ყველა. მე წმირად შორიდან ერთი კაცი მიყურებდა. საკვებსაც მასწვდიდა. ეცუბა ახლოში ცხოვრობდა და ცხოველები უყვარდა. მას მე „პატრონი“ ვეგარქვი. ახლოს არ ვეკარებოდი. მაგრამ არც გაფურბოდი.

პირველად ლეკვების დაყრა კორპუსის სარდაფში მომიწია. ძალიან ძნელია, იყო მარტო და უფლოდე თერთმეტ შვილს. როდესაც ჩემმა ლეკვებმა თვალები გაახილეს და საარული დაიწყეს. არ ვიცოდი რაღა მექნა. წყალი არ იყო ახლოში. რძეც უფრო ცოტა მქონდა. თანაც ბევრი იყვნენ და ვეღარ ვუმკლავდებოდი მათ ჭამას. გამოუვლიო მღომარეობა მქონდა. თანაც სარდაფიდან გამოსვლა ლეკვების შეუძლებელი იყო. ბეკონის ბორდიური მაღალი იყო. მაგრამ მოხდა საოცრება! „პატრონი“ შემოვიდა ჩვენთან, მოეფერა ჩემს ლეკვებს და საკვები და წყალი მოგვტანა. გაღაფრები! რამოდენიმე დღეში ჩემი შვილები გააჩუქა. მეც მომიცა შევება. თუმცა ორი ლეკვი მანაც მომიკვდა. ბავშვებმა გაიყვანეს და მე ჩემი მკვლარი შვილები გარეთ ვიბოუნე. არ ვიცი რა მოუვიდათ.

ძნელია „მანწაწალა“ ცხოვრება, მაგრამ მთავარია ვინმემ მოგაიღეროს. წმირად გამიგია „გადი ძაღლი, არ მიკბინო!“ ის ძაბილი და ვერ გამიგია, რატომ უნდა ვუკბინო? ისე კი ზოგიერთი ნამდვილად ღირსია, რომ ჩავარჭო კბილები. მაგრამ მე მშინარა ვარ და ამას ვერ გავაყვებ.

გავიდა, რამოდენიმე ხანი. ისევ დავეჩქმიძიდი. ასეთია ბუნება. ისევ მომიწია სარდაფში ჩასვლა და ლოდინი, როდის გაჩნდებოდნენ ჩემი შვილები. უკვე მუცელი მტკიოდა და ვემზადებოდი დასაყრელად. მიწას ვთხრიდი და ვერ ვისვენებდი. ამ დროს დაიწყო რაღაც ხმაური. სარდაფში ორი კაცი შემოვარდა. ხელში რკინის ჯოხები ეჭირათ და პირდაპირ ჩემსკენ გამოეჭანნენ. სახეზე შესილივებს გვანდნენ. მათგან სასიკეთოს არაფერს უნდა მოელოდი. მე შევშინდი და გავაქეცი. მაგრამ მათ კუთხეში მიამწყვდიეს. წელში რკინის კავები ჩამასვეს და ძლიერად მომიჭირეს. მე ტკივილისგან გრძობას ვკარგავდი... ვციოდი. კბილებით რკინის კავებს ვეჭიდებოდი. მაგრამ არაფერი არ გამომიდოდა. „პატრონი“ ვეძახდი. იქნებ ეშველა. მუცელი ძალიან მტკიოდა. შემდეგ კავები კისერში ჩამასვეს და ძლიერად მომიჭირეს. მე სუნთქვა შემეკრა. ტკივილით გრძობას ვკარგავდი. ვიბრძოდი. მაგრამ ვერაფერს გავხდი. გარეთ გამომათრეის. იქ რაღაც ჩოჩქოლი იყო. ბევრი ხალხი ტრიალებდა. მე ვივაც ნაძირალამ რკინის კავებით აშწია და სცადა დახურულ მანქანაში ჩემი ჩადგება. მაგრამ ვერ შესძლო და მე ისევ მიწას დავენარცხე. ტკივილისგან ვერაფერს ვეღარ ვხედავდი. მეორეჯერ აშწიეს უკვე წელში მოკიდებული მამებით და მანქანაში ჩამადგეს. კარები დახურეს და სიბნელემ დაისადგურა. გარედან ხმაური შემოდიოდა. ეცუბა ჩემს ძმას დასდევდნენ. მაგრამ მე ჩემი კვილით ის გავაფრთხილე. რომ გასცლოდა ადგილს.

მანქანა დაიბრა. მე ვერაფერს ვეღარ ვხედავდი. საშინელი ტკივილი მქონდა. მუცელში ლეკვები აღარ მოძრაობდნენ. მანქანა ცოტა ხანში აჩერდა. გარედან რაღაც ხმები გაისმა... „პატრონი“ ხმა! მე მინდოდა დაემყვება. მაგრამ თითქმის უსულოდ ვეგდე და ძალა აღარ მქონდა. „პატრონი“ ვივაცას უყვაროდა... მანქანა ისევ დაიბრა. რამოდენიმე საათი კარი გაიღო. ისევ რკინის მამები მომიჭირეს მუცელზე და გადამაგდეს რაღაც მეორე მანქანაში. რომელსაც გაღია ჰქონდა მოწყობილი. მიმიღე ჩამადგეს. იატაკზე სისხლი და ტალახი იყო. იქვე ორი მკვლარი ძაღლი ეგდო. ალბათ ჩემნაირად დაჭერილი და შემდეგ უწყლოდ და უსაკვებოდ ნაგანჯი. ადამიანი ყველაზე საშიშია. რა უნდათ ჩვენგან. თუ მინც უნდა დაგზოვონ, ისე მანც მოგვკლან, რომ არ ვიტანჯოთ. ან რა დავამავეთ. განა ჩვენი ბრაღია, რომ დავიბაღეთ და „მანწაწალა“ ცხოვრება გვიბოძა ღმერთმა?

უკვე დაბნეულია. ზამთარი იყო. მციოდა. იატაკი რკინის იყო. ალბათ მალე მოვკვდები. აღარაფერი მახსოვს. ტკივილს მთელ სხეულში ვგრძობდი. ნეტა მალე მოვკვდე... „პატრონი“ ხმა!!! გალიას შემოერტყა ხალხი. კარები გახსნეს. „პატრონი“... ხელი მომიკადა, ფრთხილად ავიყვანა. ლაბადა გადამახურა. თავის მანქანაში ჩამსვა. რა ხდება? გადავჩრჩი? საიდან მომავო... „პატრონი“... ვინ იყო ის ხალხი? რა დაუშევე?

მე „პატრონი“ საღდაც წამიყვანა. როგორც შემდეგ ვაიოკვა. თურმე თავშესაფარი ყოფილა. მეორე დღეს „პატრონი“ წამიყვანა ვეტერინარულ კლინიკაში. ნემსი გამიეთეს და დამეძინა. როდესაც გამოვფხიზლდი ისევ თავშესაფარში ვიყავი. მუცელზე ნაკერები მქონდა. ფეხშიძობა აღარ მეტყობოდა. მაგრამ ლეკვები არსად სჩანდნენ. „პატრონი“ დღეში რამდენჯერმე შემოდიოდა ჩემთან, მელაღერებოდა, საკვებს და წყალს მასწვდიდა. ნემსებს მიკეთებდა. თითქმის სულ გაბრუნებული ვიყავი. სულ მეძინებოდა... ..

გავიდა რამოდენიმე ხანი. „პატრონი“ ოთახიდან გამომიყვანა და გამაცნო თავშესაფრის სხვა ბინადარნი. ზოგიერთი მათგანიც ჩემნაირი ისტორიით იყო მოხვედრილი აქ. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით. ვივაც კარგი ხალხი გვივლიდა. გველაღერებოდა, მაგრამ მე მხოლოდ „პატრონი“ ვეკარებოდი. ის რომ გავივლიდა თავშესაფრიდან, მე კარებთან ვწვებოდი და მას ველოდი. მე მან გადამარჩინა. მე მისი ერთგული ვარ. მე იგი მიყვარს და მას ველოდები...



ჯესიკა



„პატრონი“ – თ.ნიქოროძე

ჯესიკა 2007 წლის ზაფხულში „პატრონი“-ს მოლოდინში უკვე მოკვდა. მისი სიკვდილი ძველი ტრადიციებით იყო გამოუწვეული. მას სასახლე მოუწყვეს და დასაფლავდეს. თავშესაფარი ეკუთვნის „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“-ს. მისი პატრონი კი ამ საზოგადოების ძირძველი წევრი თეიმურაზ წიქორიძეა. ეს ნამდვილი ისტორიაა, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა და „მზე“-მ გადმოსცა თეთრით (www.gpspa.org.ge).



სტერილიზაციის პროგრამა საქართველოში გერმანელი ვეტერინარის, ქალბატონ ბარბარას ჰუმანური აქცია

2007 და 2008 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“-ს ეგიდითა და გერმანელი ვეტერინარის ქ-ნი ბარბარას პირადი ინიციატივით დაიწყო საქართველოში მიკედლებული ძაღლებისა და კატების სტერილიზაციის პროგრამა. ქ-ნი ბარბარას მიერ GSPSA -ს თავშესაფარში მყოფ რამოდენიმე ძაღლს სრულიად უანგაროდ ჩაუტარდა ოპერაცია. ძაღლები შემდგომ ისევ დაბრუნებული იქნენ მიკედლებულ ტერიტორიაზე, კერძოდ ნუცუბიდის პლატოზე.

GSPSA



ცხოველთა უმწურო მდგომარეობა

საქართველოში უზედამხედველო ძაღლი და კატა გაიგივებულია ნაგავთან. მათი უმწურო მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია ადამიანის გულგრილობით და ნიჰილისტური დამოკიდებულებით. იშვიათია შემთხვევები, როდესაც საქართველოში მოქალაქეები სიბრალოლის გრძნობით აღივსებიან გაჭირვებაში ჩავარდნილი ცხოველების მიმართ. ჩვენ ქვეყანაში სამწუხაროდ, არც თუ ისე ბევრია პიროვნება, რომელსაც შეუძლია გულთან ახლოს მიიტანოს ცხოველების ბედი და არ მიატოვოს ისინი გაჭირვებაში. შეშინებული და ტრავმირებული ცხოველები კი ჩვენგან შველას ითხოვენ.

გავუწოდოთ ხელი ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს, დავისნათ ისინი გაჭირვებისაგან! ისინიც ხომ ღვთის შვილები არიან!



ცხოველთა მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება

საქართველოშიც არიან გულსხმიერი ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ ცხოველთა გადასარჩენად. ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება ჩვეულებრივი მოვლენა უნდა გახდეს. ბავშვებს თავიდანვე უნდა ვასწავლოთ ცხოველთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა. რაც უფრო ჰუმანურად მოვეპყრობით ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს, უფრო ავმაღლებთ სულიერად.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ წევრები და კეთილი ადამიანები ზრუნავენ ცხოველებზე. ძალიან ხშირია სხვადასხვა ტრავმები, დაავადებები, რომელიც გამოწვეულია ცხოველებისადმი სასტიკი ქმედებებითა და უყურადღებობით.

GSPSA-ს წევრების მიერ გადარჩენილია უამრავი უმწურო ცხოველი. ამ საზოგადოების წევრები სხვა მოქალაქეებთან ერთად საკუთარი სახსრებით იძენენ საკვებს და ჰკვებავენ მშვიდ ცხოველებს. ტრავმირებულ ცხოველებს უწევენ ვეტერინარულ დახმარებებს, ლეკვებს უძებნიან მფლობელებს და ა.შ.

გვახსოვდეს, რომ მხოლოდ კეთილშობილური ურთიერთგანწყობით შესაძლებელია მოგვარდეს არსებული პრობლემები.



ცხოველთა ზედი საქართველოში

მარინა ივანიშვილი GSPSA-ს წევრი

არამც და არამც...არ მოგიწოდებთ შეიყვაროთ ცხოველები... ვერავის აიძულებ უყვარდეს ვინმე ან რამე... ისე კი... რა დეფიციტია სიყვარულის ამ სამყაროში, არა?

გიყვარდეს ადამიანი, სამშობლო, ხელოვნება, კულტურა, ბუნება, ცხოველი. განსაკუთრებული ნიჭია, უფლისაგან ბოძებული. მაგრამ... ჩვენ სიყვარულზე არ ვლავარაყობთ. საქმე გვაქვს ქართულ პარადოქსთან. მოყმის დედა ვეფხვის დედასთან მიდის, რომ შვილები ერთად დაიტირონ... ჩვენებურ ქართულ ხალხურ ლექსში... ლექსში ვეფხვისა და მოყმისა... რა ღია იყო ბუნების მიმართ ვაჟა ფშაველა. ჩვენ ხომ შვილის ნუკრის ნაამბობზე გავიზარდეთ. არც თუ ღილი ხნის წინ დაიწერა ნოდარ ღუმბაძის „ძალი“. დღეს კი... მასმედია მაწანწალა ძაღლების სამიმროებაზე გვაუწყებს. ბიუჯეტიდან გამოიყოფა სამიმროების აღექვატური თანხები. დიდძალი. სალიკვიდაციოთ. „თავმდაბალი კრიმების ჩრდილში ძაღლის იაფ ხორცზე და ტყავულზე თბება ვიღაცის ხელები.“

მოსახლეობას ამინებენ ცოფი მოდის, ლეიშმანიოზი მოდისო. ცოფის აცრა ადამიანისათვის ფასიანი გახადეს საქართველოში. მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანაში. საინტერესოა ცოფით თუ მოკვდა ვინმე, ძალი იქნება დამწამავე, თუ ჯანდაცვის სამინისტრო? სოციალურ კრიზისამდე მისული მოსახლეობის აგრესიას ცხოველებისაყენ მიმართავენ. დროულად, მიზანდასახულად და სარფიანად.

ისევ ირიცხება ფული, იქმნება სალიკვიდაციო ბრიგადები, კლინიკაც კი... ცნობისათვის, ე.წ. #1 კლინიკა ცივილური, ევროპული, ჰუმანური, კანონმდებლობაში ჩადებული(!) ან ჩასადები მოთხოვნების გათვალისწინებით ანადგურებენ „მამებით“ დაჭერილ ძაღლებს ისე, რომ ერთ დღესაც არ აცლიან პატრონს საკუთარი ძაღლის მოძებნას. კლინიკა თვალთმაქცობაა. ვიღაცისათვის ძაღზე მომგებიანი. ხალხი ხო ჭამს ამ ინფორმაციას და ძაღლის ხორცის ძებვეულს.

მერამ გამოაცხადა- #1 კლინიკაში ცხოველებს ევთანაზია უკეთდებაო. იცით რა არის ევთანაზია? ეს გახლავთ პიროვნების ჰუმანური სამუალებით მოკვდინება მასთან შეთანხმებით, მისი თანხმობით, წვალების შეწყვეტის მიზნით. ცოტა შეუსაბამოაა არა? მერიის მესვეურებთან შეთანხმებით, მამებით დაჭერილი ძაღლების თანხმობით, მათ ასაღმებენ სიცოცხლეს. კარგით რა! ვინ უწიგურებს ვაბოლებინებთ თავს? ერთმა მენაგვემ კანონმდებლობაშიც მოსინჯა თავი, ამბობენ... მორიგი ქართული პარადოქსი საქართველოში ცხოველი ნაგავია. ზოგისთვის უფასო ნედლეული. ზოგისთვის სადისტური გართობის ობიექტი. ყველაფერი ეს კი შესაძლებელია იმიტომ, რომ ქვეყანაში, რომელიც ასე ისწრაფვის ევროპულ, დასავლურ, დემოკრატიულ, ცივილიზირებულ სივრცეში ინტეგრაციისათვის კანონმდებლობაც კი არ არსებობს ცხოველის დასაცავათ. შესაფერისად მოჰკალი, აწვალე, რამდენიც გინდა, ყველაფერი გაგივა, შეგრიება.

ინგლისელები ამბობენ თუ გინდა გაიგო, რას წარმოადგენს ადამიანი, დაუკვირდი, როგორია ის ფულთან, საწინააღმდეგო სქესთან და ცხოველთან ურთიერთობაში. ამ კრიტერიუმით, ცხადია ქვეყანასაც შეიძლება მივუდგეთ და ... რა საშინელებაა საქართველო!!!

ცხოველების ბედს ყველა შექმნილ ვითარებაში წყვეტენ ისინი, ვისაც სძულთ ცხოველები. იმათი აზრი კი ვისაც ცხოველებზე გული შესატყვა მხედველობაში არ მიიღება. მენტალიტეტია ასეთი, რას იზამ! და იზოცებიან ცხოველები... უსასტიკესად, წვალებით. ამაზე მთელი ინდუსტრიაა აგებული. ვიღაცას უთქვამს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია! ... ისევ გიმეორებთ, მე არ მოგიწოდებთ გიყვარდეთ ცხოველები... არა! ბუნება ძალადობაზე ძალადობითვე პასუხობს. არასწორი მტაცებლური ეკოპოლიტიკის გამო ჩვენ ვართ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. რაც მეტს ხოცავ, მით მეტი იბადება.“

ეკოსისტემის დაბალანსება საჭიროა ჰუმანური გზებით. სისტემა კი ხარბი უვიცების ხელშია. სწორედ მათ დასჯის ბუნება. ძალადობა კი ძალადობას წარმოშობს. ბუნებას თავისი კანონები გააჩნია. ასევე სასტიკი. ნუთუ ვერ გრძობთ, რომ საქართველოს სივრცე სასვეა აგრესიული ენერგიით, ყველა ცოცხალი არსების, ადამიანის თუ ცხოველის წვალება, ტკივილი ამ სივრცეში რჩება უარყოფით, აგრესიულ ენერგიად, მიიმე ენერგიად, რომელიც ერთხელ შეგვიწირავს. შეიძლება ეს ვიღაცას აწყობს?

რა ვთქვა დასასრულს? ალბათ ის დამრჩენია, კიდევ ერთხელ შევევედრო უფალს, გადაარჩინოს ეს ქვეყანა მოძალბებული სისასტიკისაგან და ძალიან ვთხოვო ღვთის მსახურებს, იმათ, ვისი სიტყვაც უფრო აღწევს ადამიანის სულებს, გაიღონ მოწყალეობა და თავის ქადაგებებში შეაწიონ სიტყვა ჩვენს გვერდით მყოფ, ძალიან დიდ გასაჭირში მყოფ ცხოველებს, ისინიც ხომ უფლის ქმნილებები არიან!

ალბათ როდისმე მოგიკრავთ ყური „წყევლა მხეცისა“. აპოკალიფსში იხსენიება. ხო და ნუ ვიზამთ ისე, რომ ჩვენ ან ჩვენ შთამომავალთ წამოეწიოს ტანჯული ცხოველის წყევლა. მომავლადვი ცოცხალი არსების სრიალი: წყეულიმც იყოს!



ზატონებო და ქალბატონებო! გახდით „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ ნევრი!

ფელაქური ინფორმაციისთვის დავკავშირდით: 8 77 41 90 20 gpsa@yahoo.com

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“ კლიენტის ანბაროშუბი თანხების მროვნულ ვალუტაში (ლარი)
ბაროცხვისათვის აშვილვაელი საბანკო რეკვიზიტები

მიმღები ბანკი: საქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი (ყოლი) 220101502

მიმღების დასახელება:

კავშირი (ასოციაცია) საქ. ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება

მიმღების ანგარიშის ნომერი: 166248000

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank
Citibank N.A., New York, USA
SWIFT: CITIUS33

Account With Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: GEORGIAN SOCIETY FOR THE PROTECTION AND SAFETY OF ANIMALS
Account: 166248000

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN EURO IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank
Commerzbank, Frankfurt, Germany
SWIFT: COBADEFF

Account With Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: GEORGIAN SOCIETY FOR THE PROTECTION AND SAFETY OF ANIMALS
Account: 166248000

ბატონებო და ქაღალბატონებო!

დღევანდელ დღეს GSPSA ფუნქციონირებს სულ რამოდენიმე კეთილგანწყობილი პიროვნებების ხელშეწყობით, მათი დახმარებითა და თანადგომით. განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროება საზოგადოების ძალთა თავშესაფარს, რომელშიაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ძაღლები ხვდებიან. მძიმე ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გამო თავშესაფარში შეზღუდულია ძაღლების მიღება.

დაფინანსებას საჭიროებს აგრეთვე ორგანიზაცია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მხრივ, მომუშავე-მომსახურე პერსონალის ხელფასებისათვის, „ცხოველთა სამაშველო ბრიგადები“-ს საჭიროებისათვის, ვეტერინარული კლინიკის დასაფუძნებლად, ვეტერინარული მედიკამენტების შესაძენად, საკომუნიკაციო საშუალებების უზრუნველსაყოფად, ცხოველების სამკურნალოდ და მოსავლელად და სხვა. ჩვენ გვჭირდება ბევრი რამ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა დავეხმაროთ ცხოველებს, რომლებიც უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილები, მივაწოდოთ მათ საკვები, წყალი, ვუპყრნალოთ და დავიცვათ ისინი ადამიანის სისასტიკისგან.

გთხოვთ გაიღოთ დახმარება საზოგადოების თავშესაფარის ბინადრებისათვის. დახმარებები შეიძლება იყოს ფინანსური სახით, საკვებით, ჰიგიენური საშუალებებით, მედიკამენტებით, ძველი ტანსაცმლით. განსაკუთრებით საჭიროა კეთილი ადამიანები, რომლებიც თუნდაც კვირაში ერთხელ ამოვლენ თავშესაფარში, მოუხალერებენ ცხოველებს, გაასეირნებენ მათ და სიტბოს აგრძობინებენ. უსახსრობის გამო თავშესაფარში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა ბინადრის მიმართ მაქსიმალური ყურადღება.

იყავით გულმოწყალენი!
დაეხმარეთ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებას“!
გაუწიეთ მფარველობა თავშესაფარის უმწეო ბინადრებს! მოუძებნეთ მათ პატრონები!



გაზეთში არსებული ყველა ფოტო გადაღებულია „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ წევრების მიერ

ელექტრონული გაზეთი „ენიშალ ვორლდ“ გავრცელებულია სამ თვეში ერთხელ. გაზეთის მე-2 ნომერი გამოვა 2009 წლის იანვარში.
ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს გამოგზავნოს თავისი სტატია გაზეთში განსათავსებლად. რედაქციის გადაწყვეტილებით სტატია განთავსდება.
გაზეთის რედაქცია თხოვნით მოგვბართავთ, რომ დავეხმაროთ გაზეთის ინგლისური თარგმანის მოზიდვას.